1. საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი

ა) პროგრამის სახელწოდება:
ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია (ქართულ–რუსული)
Journalism and MassCommunications

ბ)მისანიჭებელი კვალიფიკაცია:
სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი
BA in Social Sciences

გ) პროგრამის მოცულობა კრედიტით: 240

დ) სწავლების ენა: ბილინგვური (ქართულ-რუსული)

ე) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია თანამედროვე პროფესიული სტანდარტების შესაბამისად მოამზადოს ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის სპეციალისტი იმგვარად, რომ მან შეძლოს კონკურენტულ გარემოში საკუთარი შესაძლებლობების განვითარება და რეალიზება, მიღებული თეორიული ცოდნის და უნარების პრაქტიკაში გამოყენება. ბაკალავრის საფეხურზე მიღებული ცოდნა იქნება მყარი საფუძველი მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისთვის (LLL), დამატებითი დარგობრივი და მულტიდისციპლინური ცოდნის მიღებისა და გაღრმავებისთვის. პროგრამის მიზანია სტუდენტის ჩამოყალიბება ჭეშმარიტ მოქალაქედ, თავისუფლების მოყვარე და დემოკრატ პიროვნებად;

ვ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესის მიხედვით სტუდენტის სტატუსის მოპოვება.

ზ) სწავლის შედეგები: ბაკალავრი შეიძენს იმ საბაზისო თეორიულ და პტაქტიკულ ცოდნას და უნარებს, რომლებიც აუცილებელია ჟურნალისტური საქმიანობის დასაწყებად. იგი შეძლებს თემის აქტუალობის განსაზღვრას, ინფორმაციის მოპოვებას, გადამოწმებას. გაეცნობა საზოგადოებრივი ცხოვრების ფუნქციონირებას და შეძლებს ინფორმაციის სწორად ორგანიზებას, დამუშვებას, სხვადასხვა სახის მედია-ტექსტის შექმნას, წყაროებთან მუშაობას, ინფორმაციის დაბალანსებას და მრავალფეროვნების წარმოჩენას. იგი გაეცნობა დარგობრივი ჟურნალისტიკის და მულტიმედიის შესაძლებლობებს, კვლევის მეთოდებს, ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის თეორიულ საფუძვლებს, შეიძენს სფეროში მუშაობისათვის საბაზისო პროფესიულ უნარ-ჩვევებს. ამასთან, გამოიმუშავებს კრიტიკულ

აზროვნებას. კურსდამთავრებულს გააზრებული ექნება მედიის სოციალური პასუხისმგებლობა, ჟურნალისტის როლი და მნიშვნელობა ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების მშენებლობაში.
ბაკალავრიატში მიღებული ცოდნის საფუძველზე კურსდამთავრებული შეძლებს სწავლის გაგრძელებას მაგისტრატურაში.
ბაკალავრი შეითვისებს შემდეგ კომპეტენციებს:

ცოდნა და გაცნობიერება	• ბაკალავრს აქვს ის საბაზო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა და უნარები, რომლებიც აუცილებელია ჟურნალისტური საქმიანობის დასაწყებად; • იცნობს დარგობრივი ჟურნალისტიკის და მულტიმედიის შესაძლებლობებს, კვლევის მეთოდებს, ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის თეორიულ საფუძვლებს და განვითარების ისტორიას; • იცნობს რეპორტიორისთვის და კომუნიკაციის სპეციალისტისთვის აუცილებელ, საბაზისო კომპეტენციებს (პროფესიული წერა და რეპორტირება, გაშუქების და საზოგადოებასთან ურთიერთობის დღის წესრიგის შედგენა) და სხვ.; • იცნობს ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების, დაბალანსების, გადამოწმების მეთოდებს; • იცნობს საზოგადოების სტრუქტურას და მისი ინფორმირებისთვის და ჯანსაღი სოციალური ფუნქციონირებისთვის აუცილებელ მოთხოვნებს და დამოკიდებულებებს; • იცნობს მეტყველების კულტურის ნორმებს; • გაცნობიერებული აქვს ჟურნალისტის როლი და მნიშვნელობა საზოგადოებაში და მედიის სოციალური პასუხისმგებლობა; • აცნობიერებს მედიის და გაშუქების მრავალფეროვნების მნიშვნელობას;
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	• შეუძლია კონკურენტულ გარემოში საკუთარი შესაძლებლობების განვითარება და რეალიზება, მიღებული საბაზისო ცოდნის და უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენება.

	• აქვს თემის აქტუალობის განსაზღვრის, სიახლის ძიების, ინფორმაციის მოპოვების, გადამოწმების, დამუშვების, სხვადასხვა სახის მედიატექსტის შექმნის, წყაროებთან მუშაობის, ინფორმაციის დაბალანსების და მრავალფეროვნების წარმოჩენის უნარი. • შეუძლია მედიაპროდუქტის მომზადებისას ინფორმაციის დაბალანსება, აკურატულად და გამართულად წერა; • შეუძლია დედლაინზე მუშაობა და დროის სწორი მართვა; • არის შედეგზე ორიენტირებული.
დასკვნის უნარი	• აქვს მედიატექსტის/მასალის მომზადებისთვის ამოცანების, პრიორიტეტების, პრობლემის სწორად იდენტიფკაციის, გააზრების, ადეკვატურად რეაგირებისუნარი; • აქვს არგუმენტირებული მსჯელობის, განმარტების, ანალიზისა და სინთეზის უნარი; • აქვს კრიტიკული აზროვნების უნარი.
კომუნიკაციისუნარი	• შეუძლია შესაბამის წყაროებთან, კოლეგებთან, ფართო საზოგადოებასა და სხვა დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციის დამყარება; • პრაქტიკული დავალებების შესრულებისას (გაზეთის და ჟურნალის წარმოების, ტელე–რადიო გადაცემის/მასალების მომზადებისას და სხვ.) შეუძლია ჯგუფში და ინდივიდუალურად მუშაობა; • აქვს კითხვის სწორად დასმის და მოსმენის უნარი; • ფლობს ეფექტური ზეპირი კომუნიკაციის და გამართულად მეტყველეტების უნარებს; • აქვს ინფორმაციის გადმოცემის/პრეზენტაციის უნარი. • აქვს აუდიტორიაზე/მომხმარებელზე ორიენტაციის უნარი; • აქვს მულტიმედიის აღქმის უნარი; • შეუძლია საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება პროფესიულ დონეზე კომუნიკაციისათვის.
სწავლის უნარი	• შეუძლია მიღებული ცოდნა გამოიყენოს, როგორც მყარი საფუძველი მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისთვის (მათ

	შორის შემდგომ საფეხურზე სწავლისთვის), დამატებითი დარგობრივი და მულტიდისციპლინული ცოდნის მიღებისა და გაღრმავებისთვის. • შეუძლია არჩევნის გაკეთება სწავლის საჭიროების კუთხით (მაგ: დარგობრივი ჟურნალისტიკის მიმართულებით); • აქვს სხვადასხვა წყაროებთან მუშაობის, ლიტერატურის, დოკუმენტების დამუშავება-შესწავლის უნარი;
ღირებულებები	ბაკალავრი მოწოდებულია ჟურნალისტური საქმიანობისას, შესაბამისი მედიაწყაროების საშულებით, კეთილსინდისიერად წარმოაჩინოს და ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს ღირებული და სარწმუნო ინფორმაცია. პროფესიული საქმიანობისას, სიტყვის და პრესის თავისუფლების პრინციპებით ხელმძღვანელობისას, კონკურენტულ გარემოში თვითრეალიზებისთვის, იგი მოწოდებულია გაიზიაროს დემოკრატიულ, ლიბერალურ ღირებულებებზე დაფუძნებული პროფესიული ვალდებულებები და ეთიკური ნორმები. კურსდამთავრებულს გააზრებული ექნება მედიის სოციალური პასუხისმგებლობა, ჟურნალისტის როლი და მნიშვნელობა ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების მშენებლობაში.

თ) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: სტუდენტზე და შრომის ბაზარზე ორიენტირებული სწავლების განხორციელება მოიცავს ლექცია-სემინარებს, ინდივიდუალურ, გუნდურ დაპრაქტიკულ დავალებებს, სიტუაციურ ანალიზებს და როლურ თამაშებს, პრეზენტაციებს, რომელთა გაზომვადი შედეგები აისახება შეფასების სისტემაში.ასევე, ინტერაქტიური და მოქნილი სწავლების პროცესის დაგეგმვისთვის და შეფასების სისტემის მეტი გამჭვირვალობისთვის, გამოიყენება თსუ–ს ელექტრონული სწავლების პორტალი (e-learning.tsu.ge).

ი) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: სტუდენტი ყოველ საგანში მოწმდება ECTS–ის სისტემით (კრედიტის მინიჭების საფუძველზე),100-ქულის ფარგლებში, აქტიურობის, შუალედური შემოწმებებით და დასკვნითი გამოცდის საფუძველზე. შუალედური გამოკითხვების ნაწილი ონ–ლაინ რეჟიმით განხორციელება (თსუ–ს ელექტრონული სასწავლო პორტალის გამოყენებით).

შეფასების სისტემა		
A	91 -100	ფრიადი
B	81 -90	ძალიან კარგი
C	71 -80	კარგი
D	61 -70	დამაკმაყოფილებელი
E	51 - 60	საკმარისი
FX	41 - 50	ვერ ჩააბარა, სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება
F	0 – 40	ჩაიჭრა, სტუდენტმა კრედიტის მიღებისთვის თავიდან უნდა გაიაროს კურსი

კ) სასწავლო გეგმა, სწავლების ორგანიზების თავისებურების მითითებით:
იხილეთ დანართი

ლ)პროგრამის ავტორი:
მარიამ გერსამია, PhD, პროფესორი
პროგრამის ხელმძღვანელი:
ირინა ბიჭიკაშვილი, PhD, ასოცირებული პროფესორი

მ) დასაქმების სფეროები: კურსდამთავრებული შეძლებს მუშაობის დაწყებას ყველა სახის მედიასა და საინფორმაციო სამსახურში, ასევე, პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებში, შეძლებს მიღებული ცოდნის გამოყენებას მომიჯნავე სპეციალობით დასაქმებისთვის(პრეს-ცენტრები, სარეკლამო და ინიჯმეიკერის სააგენტოები, სოციოლოგიური სამსახურები და სხვა).

ნ) დამატებითი ინფორმაცია: სტუდენტთა რაოდენობა: **20**
პროგრამაში ჩართული პედაგოგების საერთო რაოდენობა: **25;** აკადემიური პერსონალი: **6;** მოწვეული პედაგოგი: **19.**

ო) დამატებითი ინფორმაცია:
ქართულ-რუსული მიმართულების სტუდენტებს (თუ ისინი ფლობენ ქართულ ენას,) შეუძლიათ აირჩიონ საგნები ქართული

პროგრამიდან– ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია. თუ სტუდენტი საკმარისად ვერ ფლობს ქართულ ენას, მას თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის რუსულენოვანი პროგრამებიდან სთავაზობენ საგნებს. ეს პროგრამებია: „კავკასიოლოგია“ და „რუსისტიკა“.

კრედიტების განაწილება	კრედიტების რ-ბა
საფაკულტეტო სასწავლო კურსები(სავალდებულო)	20
საფაკულტეტო სასწავლო კურსები(არჩევითი)	5 (შეთავაზებული 20-დან)
საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსები	15 (შეთავაზებული 35-დან)
სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები	60
სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები (მათ შორის საბაკალარო ნაშრომი ან პროექტი - 5 კრ)	60 (შეთავაზებული 180-დან)
დამატებითი სპეციალობა ან სხვა სასწავლო კომპონენტი ბაკალავრიატის საუნივერსიტეტო კურიკულუმიდან	60
თავისუფალი კრედიტი	20
დამატებითი სპეციალობა (შეთავაზებული დამატებითი სპეციალობა, ე.წ. მაინორი სხვა სპეციალობებისთვის)	60

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: **სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა**
ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა /: **ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია**
სასწავლო პროგრამის სახელწოდება: **ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია**
სწავლების ენა: **ბილინგვური (ქართულ-რუსული)**
სწავლების საფეხური: **ბაკალავრიატი (240 კრედიტი)**
პროგრამის ავტორი: **მარიამ გერსამია**
სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: **ი. ბიჭიკაშვილი**
აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: **29 ივნისი, 2011 წელი,**დადგენილება **N 57**
(პროგრამაში ცვლილებები შეტანილია და დამტკიცებულია თსუ აკადემიური საბჭოს მიერ: **7 სექტემბერი, 2011 წელი,**დადგენილება **N 89**)
(პროგრამაში ცვლილებები შეტანილია და დამტკიცებულია თსუ აკადემიური საბჭოს მიერ: **19 თებერვალი, 2014 წელი,** დადგენილება **№ 17/2014**)
სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): **2011-2012 სასწავლო წელი**

პროგრამის სტრუქტურა

120 კრედიტი (ECTS) ძირითადი სპეციალობით (major)												
სპეციალობის სავალდებულო კურსები – 60 კრედიტი (ECTS) + სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები – 60 (ECTS)												
N	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა ECTS	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში		სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში			დასკვნითი გამოცდის ჩაბარება	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი/ ლექტორები
			ლექცია	სამუშაო ჯგუფი / პრაქტიკუმი	ლექცია–პრაქტიკუმებისათვის მომზადება	შუალედური გამოცდის/გამოცდების მომზადება	დასკვნითი გამოცდის მომზადება			შემოდგომა	გაზაფხული	

საფაკულტეტო (საბაზისო) სავალდებულო კურსები / მოდულები – 20 კრედიტი (ECTS)												
1	შესავალი სოციალური კვლევის მეთოდებში	5	15	15	60	10	23	2	წინაპირობის გარეშე	✓		(იკითხება ქართულ ენაზე)
2	ინგლისური ენა 1[1]	5	30	30	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ნ.ავსაჯანიშვილი
3	ინგლისური ენა 2	5	30	30	45	8	10	2	ინგლისური ენა 1		✓	ნ.ავსაჯანიშვილი
4	სტატისტიკა 1	5	30	30	41	10	10	4	წინაპირობის გარეშე	✓	✓	გ. სოხაძე
საფაკულტეტო (საბაზო) არჩევითი კურსები (მინიმუმ 1 საგანი)												
5	აკადემიური წერა	5	15	15	60	13	20	2	წინაპირობის გარეშე	✓		ი. ღვინერია
6	ლოგიკა (კრიტიკული აზროვნება)	5	15	15	50	25	18	2	წინაპირობის გარეშე	✓		ლ. ანტონოვა
7	გამოყენებითი ეკონომიკა	5	15	15	60	10	23	2	წინაპირობის გარეშე		✓	მ. ზუბიაშვილი
8	ანთროპოლოგია	5	15	15	55	12	25	3	წინაპირობის გარეშე	✓		(იკითხება ქართულ ენაზე)
საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსები (ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის პროგრამის სტუდენტებს ევალებათ 4, მათ შორის, ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი კურსის გავლა. ეს უკანასნელი მათ ეთვლებათ მეცნიერების მაპროფილებელ სასწავლო კრედიტებში)												
9	ფსიქოლოგიის შესავალი	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ლ. ჩხიკვიშვილი
10	შესავალი სოციალურ მუშაობაში	5	15	15	58	17	18	2	წინაპირობის გარეშე	✓	✓	(იკითხება ქართულ ენაზე)
11	საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალი	5	15	15	55	18	20	2	წინაპირობის გარეშე	✓	✓	(იკითხება ქართულ ენაზე)
12	შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებაში	5	15	30	56	8	13	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ა. კუხიანიძე
13	სოციოლოგიის შესავალი	5	15	15	58	17	17	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	(იკითხება ქართულ ენაზე)
14	საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი	5	30	30	30	13	19	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	(იკითხება ქართულ ენაზე)
15	ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი	5	30	30	30	20	12	3	წინაპირობის გარეშე	✓		ე. ლომიძე
სპეციალობის სავალდებულო კურსები – 60 კრედიტი (ECTS)												
16	ქართული ენა 1	5	30	30	40	10	12	3	წინაპირობის გარეშე	✓		მ. კვეზერელი –

[1] **შენიშვნა: საბაკალავრო საფეხურის სტუდენტები, რომლებიცწარმოადგენენ უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერთიფიკატს, თსუ-ს ენების ცენტრის დასკვნის საფუძველზე თავისუფლდებიან ინგლისური ენის სავალდებულო 10 კრედიტისგან და ეს სავალდებულო კრედიტები უნდა შეავსონ თავისუფალი კრედიტებით.**

												კოპაძე
17	ქართული ენა 2	5	30	30	40	10	12	3	ქართული ენა (1)		✓	მ. კვეზერელი – კოპაძე
18	ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი	5	30	30	30	20	12	3	წინაპირობის გარეშე	✓		ე. ლომიძე
19	ახალი ამბების ჟურნალისტიკა 1	5	30	30	42	5	15	3	წინაპირობის გარეშე	✓		ე. ლომიძე
20	მედიასამართალი	5	30	30	35	15	13	2	წინაპირობის გარეშე	✓		თ. ლაკერბაია
21	ქართული ჟურნალისტიკის ისტორია	5	15	30	50	20	8	2	წინაპირობის გარეშე	✓		ჯ. ასათიანი
22	ბეჭდური მედია (გაზეთი)	5	30	30	45	13	5	2	წინაპირობის გარეშე	✓		ი. ბიჭიკაშვილი
23	ახალი მედია	5	15	30	32	30	15	3	ახალი ამბების ჟურნალისტიკა 1		✓	თ. მჟავანაძე
24	ანალიზი და თვალსაზრისი ჟურნალისტურ ნაწარმოებში	5	30	30	27	20	15	3	ახალი ამბების ჟურნალისტიკა 1	✓		ე. ლომიძე
25	სამაუწყებლო მედია(ტელევიზია)1	5	30	30	35	20	8	2	ახალი ამბების ჟურნალისტიკა 1	✓		ნ. ნაცვლიშვილი
26	სამაუწყებლო მედია (რადიო)1	5	30	30	32	15	15	3	ახალი ამბების ჟურნალისტიკა 1	✓		თ. მჟავანაძე
27	საგამოძიებო ჟურნალისტიკა	5	30	30	30	17	15	3	წინაპირობის გარეშე		✓	ი. ბიჭიკაშვილი
სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები – 60 კრედიტი (ECTS)												
28	ქართული ენა 3	5	30	15	44	16	17	3	ქართული ენა 2	✓		მ. კვეზერელი – კოპაძე
29	პრაქტიკული სტილისტიკა	5	30	15	45	18	15	2	წინაპირობის გარეშე	✓		ნ. ბასილაია
30	ახალი ამბების ჟურნალისტიკა 2	5	30	30	42	5	15	3	ახალი ამბების ჟურნალისტიკა 1		✓	ე. ლომიძე
31	სოციალური საკითხების გაშუქება(სამართლებრივი ასპექტი)	5	15	15	58	20	15	2	წინაპირობის გარეშე	✓		თ. ლაკერბაია
32	ბავშვთა საკითხების გაშუქება	5	15	15	58	17	18	2	წინაპირობის გარეშე	✓		ნ. ჭალაგანიძე
33	კულტურის და სპორტის საკითხების გაშუქება	5	15	15	55	20	17	3	წინაპირობის გარეშე	✓		ხ. კაჭარავა
34	ინტეგრირებული მარკეტინგ კომუნიკაციები. სავაჭრო რეკლამა მედიაში	5	30	30	30	20	13	2	წინაპირობის გარეშე	✓		ი. ბიჭიკაშვილი
35	ინტეგრირებული მარკეტინგ კომუნიკაციები. პოლიტიკური	5	30	30	30	20	13	2	წინაპირობის გარეშე		✓	ი. ბიჭიკაშვილი

	რეკლამა მედიაში											
36	საინფორმაციო სივრცის ეთიკა	5	30	30	30	19	14	2	წინაპირობის გარეშე	✓		ე. ლომიძე
37	ფოტოჟურნალისტიკა – პრაქტიკული	5	15	15	68	12	13	2	წინაპირობის გარეშე	✓		გ. წიბახაშვილი
38	ჟურნალისტიკის კვლევის მეთოდები	5	30	30	30	20	12	3	წინაპირობის გარეშე		✓	ი. ბიჭიკაშვილი
39	საზღვარგარეთის მედია	5	30	30	27	18	17	3	წინაპირობის გარეშე	✓		ა. ოგანჯანიანი
40	დემოკრატია და მოქალაქეობრიობა	5	15	15	65	25	13	2	წინაპირობის გარეშე	✓		ხ. მაისაშვილი
41	მედიის ეკონომიკა(მედია მენეჯმენტი)	5	15	15	50	20	23	2	წინაპირობის გარეშე		✓	ი. ღვინერია
42	ჟურნალისტიკა და PR	5	30	30	27	18	17	3	წინაპირობის გარეშე	✓		ა. ოგანჯანიანი
43	სამაუწყებლო მედია(ტელევიზია) 2 – პრაქტიკული	5	15	15	48	20	15	2	სამაუწყებლო მედია (ტელევიზია) 1		✓	ნ. ნაცვლიშვილი
44	სამაუწყებლო მედია (რადიო) 2 – პრაქტიკული	5	30	30	32	15	15	3	სამაუწყებლო მედია (რადიო) 1		✓	თ. მჟავანაძე
45	ბეჭდური მედია (ჟურნალი)	5	30	30	45	13	5	2	წინაპირობის გარეშე		✓	ი. ბიჭიკაშვილი
46	ჟურნალისტიკის აქსეოლოგია	5	30	30	34	16	13	2	წინაპირობის გარეშე		✓	ლ. ანტონოვა
47	მედიამონიტორინგი: საფუძვლები და გამოყენება	5	15	15	53	22	17	3	წინაპირობის გარეშე	✓		ა. ზაქარაია
48	როგორ გადავიღოთ ვიდეოკლიპი	5	15	15	48	20	15	2	სამაუწყებლო მედია (ტელევიზია)1– პრაქტიკული		✓	ნ. ნაცვლიშვილი
49	ტურიზმი და ჟურნალისტიკა	5	15	15	55	20	17	3	წინაპირობის გარეშე	✓		ხ. კაჭარავა
50	თვითმენეჯმენტი პრაქტიკულ ჟურნალისტიკაში	5	30	30	32	20	10	3	წინაპირობის გარეშე	✓		ე. ლომიძე
51	რეგიონული ჟურნალისტიკა	5	15	15	58	17	18	2	წინაპირობის გარეშე	✓		ნ. ჭალაგანიძე
52	ჟურნალისტიკის სოციოლოგია	5	30	30	34	16	13	2	წინაპირობის გარეშე	✓		ლ. ანტონოვა
53	ნაციონალური იდენტობა და მედია	5	30	30	34	16	13	2	წინაპირობის გარეშე	✓		ხ. მაისაშვილი
54	მეტყველების კულტურა	5	15	15	56	24	13	2	წინაპირობის გარეშე	✓		ი. ფოფხაძე
55	ქართული პერიოდიკა რუსულ ენაზე	5	15	30	43	25	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ჯ. ასათიანი
56	ტფილისის კულტურული სალონები	5	15	30	45	27	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ჯ. ასათიანი
57	გენდერული პრობლემები და მედია	5	15	15	50	20	23	2	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ი. ღვინერია
58	ხელოვნების ნაწარმოებების	5	30	30	34	16	13	2	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მ. ტორაძე

	რეცენზირება											
59	მედიატექსტში კოდირებული მნიშვნელობების ინტერპრეტაცია	5	15	15	65	25	12	3	წინაპირობის გარეშე		✓	ხ. მაისაშვილი
60	კონფლიქტების გაშუქება მედიაში	5	15	15	50	20	23	2	წინაპირობის გარეშე	✓		ი. ღვინერია
61	საინფორმაციო სააგენტოები	5	15	15	53	22	17	3	წინაპირობის გარეშე	✓		ა. ოგანჯანიანი
62	განათლების და მეცნიერების საკითხების გაშუქება	5	15	15	50	20	23	2	წინაპირობის გარეშე		✓	მ.გერსამია
63	საერთაშორისო მედიაანალიზი	5	15	15	73	-	20	2	წინაპირობის გარეშე	✓		ს. დანილენკო
64	სამთავრობო ურთიიერთობების ტექნილოგიები და საზოგადოებასთან ურთიერთობა	5	15	15	73	-	20	2	წინაპირობის გარეშე	✓		ა. იაკოვეცი
65	საბაკალავრო ნაშრომი ან პროექტი	10							მედიის კვლევის მეთოდები		✓	
თავისუფალი კრედიტები: 20 კრედიტი (ECTS)												

ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო დამატებითი (minor) პროგრამის სტრუქტურა: 60 კრედიტი											
№	**საგნის დასახელება**	**საგნის სტატუსი**	**კრედიტების საერთო რ-ბა**	**კრედიტების რაოდენობა**							
				სემესტრები							
				I	**II**	**III**	**IV**	**V**	**VI**	**VII**	**VIII**
1	ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი	სავალდებულო	5								
2	ჟურნალისტიკა და PR	არჩევითი	5								
3	ახალი ამბების ჟურნალისტიკა 1	სავალდებულო	5								
4	ინტეგრირებული მარკეტინგ კომუნიკაციები(პოლიტიკური რეკლამა)	არჩევითი	5								
5	ქართული ჟურნალისტიკის ისტორია	არჩევითი	5								
6	მედიასამართალი	სავალდებულო	5								
7	ბეჭდური მედია (გაზეთი)	სავალდებულო	5								
8	ახალი მედია	სავალდებულო	5								
9	სამაუწყებლო მედია (რადიო) 1	სავალდებულო	5								
10	სამაუწყებლო მედია (ტელევიზია) 1	სავალდებულო	5								

	თავისუფალი კრედიტი (საგნები ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის ქართულ–რუსული პროგრამის კურიკულუმიდან) (ნებისმიერ დროს IV სემესტრიდან)	*10*
11	*სავალდებულო*	*35*
12	*არჩევითი*	*15*
13	*სულ*	*60*

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი